



VIEWS FROM THE FRONTLINE

COUNTRY REPORT: GEORGIA

ხედვნი წინასწარგონიანს საქართველოში სანაჩივნი



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC



Global Network
of Civil Society Organisations
for Disaster Reduction



OXFAM



MAY / მაისი
2013

VIEWS FROM THE FRONTLINE

COUNTRY REPORT: GEORGIA

ხეივანი წინა ხაზიდან

საქართველოს ანგარიში

გამოცემა მომზადებულია კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (RECC) მიერ პროექტის „თემების მდგრადობის ამაღლება სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, რომელიც განხორციელდა Oxfam-ის, შვეიცარიის განვითარების სააგენტოსა (SDC) და კატასტროფების რისკების შემცირებისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელის (GNDR) მხარდაჭერით.

კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი მადლობას უხდის პროექტის პარტნიორ ორგანიზაციებს - საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას, საქართველოს ბუნების მოყვარულთა საზოგადოებას, შავი ზღვის ეკოაკადემიას, ფონდ Abkhaz Intercont-ს, გურამ თიკანიძის სახელობის სვანეთის ახალგაზრდულ ცენტრს, ასევე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, გარემოს ეროვნულ სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. მადლობას ვუხდით ყველა პირსა და ორგანიზაციას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევის შედეგების განხილვასა და რეკომენდაციების შემუშავებაში.

The publication has been prepared by the Regional Environmental Centre for the Caucasus (RECC) within the project ``Supporting Community Resilience in the South Caucasus`` implemented with financial assistance of the Oxfam, SDC and GNDR.

RECC gratefully acknowledges the support of partner organizations **Georgian Red Cross Society, Georgian Society of Nature Friends, Black Sea Eco-Academy, Abkhaz Intercont Fund and Guram Tikanidze Svaneti Youth Center, as well as Ministry of Environmental Protection and Natural Resources, National Environmental Agency, Emergency Management Department of the Ministry of Interior Affairs of Georgia** for cooperation and providing valuable information.

We are also thankful to those people and organizations who participated in the discussions on survey results and elaboration of recommendations.

Note: This publication may be reproduced in whole or in part and in any form for educational or non-profit purposes without special permission from the copyright holder, provided acknowledgement of the source is made. RECC would appreciate receiving a copy of any publication that uses this publication as a source.

ყდაზე დავით ქორიძის ფოტო
Photo on cover page by David Koridze

შინაარსი

| | |
|---|----|
| განმარტებები | 5 |
| მოკლე შინაარსი | 6 |
| შესავალი | 10 |
| I. პროექტი „ხედვა წინახაზიდან“ | 14 |
| ფონური ინფორმაცია | 14 |
| პროექტის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები | 14 |
| კვლევის მეთოდი | 15 |
| II. კატასტროფების რისკები საქართველოში | 19 |
| III. მონაცემთა ანალიზი | 26 |
| 3.1 კატასტროფების საფრთხეებისა და მათი შედეგების გაცნობიერება ადგილობრივი თემების მიერ | 27 |
| 3.2 HFA-ის განხორციელებაში პროგრესის ანალიზი | 28 |
| 3.3 HFA-ის განხორციელების კონტექსტი | 31 |
| 3.4 პროგრესის მონიტორინგი და ანგარიშგება | 34 |
| 3.5 ინფორმაციის გაანალიზება და გადაწყვეტილებების მიღება | 36 |
| 3.6 ორგანიზება და ქმედება | 38 |
| IV. კონკრეტული მაგალითები | 41 |
| V. დასკვნები და რეკომენდაციები | 47 |
| დანართები | 52 |
| დანართი 1. კითხვარი კვლევისათვის „ხედვა წინახაზიდან - 2013“ | 52 |
| დანართი 2. გეოლოგიური სტიქიის შედეგები 1995-2012 წლებში | 56 |
| დანართი 3. 1995-2012 წლებში საქართველო ტერიტორიაზე აღრიცხული სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები და მათგან გამომწვეული ზარალი | 58 |

CONTENTS

| | |
|---|----|
| Glossary and Acronyms | 5 |
| Introduction | 10 |
| I. VIEWS FROM THE FRONTLINE Project | 14 |
| Background | 14 |
| Project Objectives and expected results | 14 |
| Project Approach and Methodology | 15 |
| II. Disaster Risks in Georgia | 19 |
| III. Analysis of Data | 26 |
| 3.1 Perception of Disaster Risks and Aftermaths by Local Communities | 27 |
| 3.2 Analysis of Progress Towards the HFA Implementation | 28 |
| 3.3 HFA Implementation Context | 31 |
| 3.4 Observation / Reflection | 34 |
| 3.5 Knowledge and Learning | 36 |
| 3.6 Organising and Action | 38 |
| IV. Case Studies | 41 |
| V. Conclusions and Recommendations | 47 |
| Appendices | 54 |
| Appendix 1: Questionnaire for VFL 2013 Survey | 54 |
| Annex 2. Intensity of landslides and mudflows between 1995-2012 | 57 |
| Annex 3. Extreme hydro-meteorological phenomena identified in Georgia between 1995-2012 | 58 |

განმარტებები

GLOSSARY AND ACRONYMS

DRR

კატასტროფების რისკების შემცირება - საზოგადოების მონწყვლადობისა და კატასტროფების რისკების მინიმიზაცია, საფრთხეების უარყოფითი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად (პრევენცია) ან შესაზლუდად (შერბილება და მზადყოფნა), მდგრადი განვითარების ფართო კონტექსტში.

Disaster Risk Reduction - Minimizing vulnerabilities and disaster risks throughout a society, to avoid (prevention) or to limit (mitigation and preparedness) the adverse impacts of hazards, within the broad context of sustainable development.

GNDR

კატასტროფების რისკების შემცირებისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების საერთაშორისო ქსელი.

The Global Network of Civil Society Organisations for Disaster Reduction, responsible for the global implementation of the 'Views from the Frontline' project.

HFA

ჰიოგოს მოქმედებათა გეგმა - მიღებული იქნა 168 ქვეყნის მთავრობის მიერ ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირების მსოფლიო კონფერენციაზე ჰიოგოში (იაპონია) 2005 წელს.

The Hyogo Framework For Action - adopted by 168 governments at the World Conference on Disaster Reduction, held in 2005 in Hyogo, Japan, focusing on building the resilience of nations and communities to disasters

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

<http://www.unisdr.org/wcdr/intergover/official-doc/L-docs/Hyogo-framework-for-action-english.pdf>

VFL

ხედვა წინახაზიდან - ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის განხორციელების მონაწილეობითი მონიტორინგის პროცესი. კვლევა ტარდება ორ წელიწადში ერთხელ GNDR-ის მიერ.

Views from the frontline – A participatory monitoring process conducted biennially by GNDR

2005 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ჰიოგოს სამოქმედო პროგრამა 2005-2015 წლებისათვის კატასტროფების მიმართ ქვეყნებისა და თემების გამძლეობის შექმნის თაობაზე, რითაც დაადასტურა, რომ კატასტროფების რისკების შემცირება გახდა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი ქვეყნისათვის.

საქართველოს ანგარიში „ხედვა წინახაზიდან - 2013“ არის ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის განხორციელების საზოგადოებრივი მონიტორინგის ნაწილი, რომელიც მიმდინარეობს 2009 წლიდან „კატასტროფების რისკების შემცირებისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების გლობალური ქსელის“ (GNDR) ინიციატივით. პროექტის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის ეფექტურ განხორციელებას ადგილობრივ დონეზე და გააძლიეროს მოწყვლადი თემების მდგრადობა კატასტროფებისადმი.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი VFL-ის ინიციატივაში ჩაერთო 2011 წელს. რეგიონულ დონეზე პროექტს კოორდინაციას უწევს Oxfam. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus) კვლევას ახორციელებს საქართველოსა და სომხეთში. „ხედვა წინახაზიდან - 2013“ საქართველოსა და სომხეთში განხორციელდა შვეიცარიის განვითარების სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით.

„ხედვა წინახაზიდან“ არის ადგილობრივ დონეზე კატასტროფებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების არსებული პრაქტიკის მონაწილეობითი მონიტორინგის პროექტი, რომელიც მოიცავს კვლევასა და კონსულტაციების კომპონენტებს. კვლევის კომპონენტის ფარგლებში საქართველოში ჩატარდა 201 ინტერვიუ ადგილობრივი მმართველობისა და თემების წარმომადგენლებთან 5 რეგიონის 11 მუნიციპალიტეტში, რის შედეგადაც HFA-ის დანერგვაში მიღწეული პროგრესი რაოდენობრივად შეფასდა სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით. პროექტის მეორე ეტაპზე ჩატარდა კონსულტაციები ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე, რის შედეგადაც შემუშავდა რეკომენდაციები კატასტროფების რისკების მართვის გაუმჯობესებისათვის.

VFL 2013 კვლევის შედეგების მიხედვით ადგილობრივ დონეზე არ აღინიშნება დადებითი ცვლილებები კატასტროფების რისკების მართვაში. ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორებია კატასტროფებისადმი მომზადებისა და რისკების შემცირებისათვის ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობების არ არსებობა, ასევე ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომი რესურსების შეუსაბამობა რისკების შემცირების საჭიროებებისადმი. აღნიშნული პრობლემები კიდევ უფრო მწვავედ ხარჯ-ეფექტური პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის და მათი განხორციელების ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობით, ასევე ადგილობრივი თემებისა და თვითმმართველობის ორგანოების პასიურობით და ცნობიერების დაბალი დონით. ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემები განპირობებულია სხვადასხვა უწყებებს შორის მცირე თანამშრომლობით, კატასტროფების რისკების ცენტრალიზებული მართვით, შეზღუდული რესურსების არაპროპორციული განაწილებით, ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო სექტორის სუსტი განვითარებით.

აღნიშნულის გამო ვერ ხდება კატასტროფებისადმი თემების გამძლეობის შექმნაში თვალნათელი ცვლილებების მიღწევა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე კატასტროფების რისკების მართვის საკითხები ინტეგრირებულია სხვადასხვა სექტორების სტრატეგიებსა და განვითარების გეგმებში, შექმნილია საკანონმდებლო საფუძვლები, ჩამოყალიბებულია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და ეტაპობრივად მიმდინარეობს მათი შესაძლებლობების ამაღლება.

In 2005, the Georgian government ratified the Hyogo Framework for Action (HFA) 2005-2015 Building the Resilience of Nations and Communities to Disasters. By this step the government demonstrated that disaster risk reduction (DRR) was one of the country's priorities.

Views from the Frontline 2013 - Georgia is part of public monitoring of HFA implementation, launched in 2009 by the initiative of the Global Network of Civil Society Organizations for Disaster Reduction (GNDR). The main goal of 'Views from the Frontline' is to support the effective implementation of the HFA to build the resilience of vulnerable people and communities at-risk to disasters.

The South Caucasus started participating in the VFL programme in 2011. The Regional Environmental Center for the Caucasus (REC Caucasus), as a GNDR member, is carrying out the survey in Georgia and Armenia with Oxfam's coordination and SDC's support.

Views from the Frontline is a participatory monitoring project, comprised of survey and consultation components and aimed at assessing disaster preparedness and response practices applied at the local level. In total, 201 local government officials and community representatives were surveyed in 11 municipalities of Georgia to assess progress in the HFA implementation based on different indicators. The second phase of the project involved consultations at the local and national levels, promoting mutual understanding, cooperation and partnership between policy-makers and implementers. During the consultations, participants considered results of quantitative assessments and developed recommendations.

According to VFL 2013, local populations perceive that no progress in DRR has been achieved at the local level since 2011. The lack of resources for disaster preparedness and risk reduction as well as inconsistency of available resources with DRR requirements represent the main constraints. These problems are aggravated by the lack of knowledge and experience in planning and implementation of cost-effective preventive measures, inactivity and low awareness of local government and communities. The constrictions at the local level are conditioned by insufficient level of inter-sectoral cooperation, centralized disaster risk management, lack of priority-based distribution of limited resources, insufficient civil society development at the local level.

This prevents progress in building up community's disaster resilience despite the integration of DRR issues into different sectoral strategies and development plans at the national level, availability of a corresponding legal framework, establishment and gradual development of capacities of responsible structural units.

საქართველოში ძირითადი ყურადღება კვლავინდებურად გადატანილია სტიქიური მოვლენებისა და ტექნოგენური ავარიების მოხდენის შემთხვევაში სწრაფი და ეფექტური რეაგირების შესაძლებლობების შექმნაზე, ხოლო ფინანსური რესურსები ძირითადად მიმართულია სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრაზე და ძალიან მცირედ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე კატასტროფების რისკების მართვის გაუმჯობესებისათვის:

1. კატასტროფების რისკების მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სამხარეო ადმინისტრაციების უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაზრდა და მკაფიო განსაზღვრა, განსაკუთრებით პრევენციის კუთხით; ამ მხრივ ადეკვატური საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაცია.

კატასტროფების რისკების შემცირების მუნიციპალური გეგმების მიღების ვალდებულების დადგენა კანონმდებლობით. კატასტროფების რისკების შემცირების მუნიციპალური გეგმების დამტკიცება ერთიანი სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით და ადგილობრივი თემების მონაწილეობით; ადგილობრივ და რეგიონულ განვითარების გეგმებში კატასტროფების რისკების შემცირების ღონისძიებების ინტეგრირება. ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების განსაზღვრა, მობილიზაცია, დონორების კოორდინაცია, განხორციელების მონაწილეობითი მონიტორინგისა და გამჭვირვალე ანგარიშების უზრუნველყოფა.

2. კატასტროფების რისკების შემცირების ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ეროვნულ დონეზე და მის საფუძველზე სექტორული განვითარების ყველა არსებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლება.

ეროვნული რეაგირების გეგმის განახლების მიმდინარე პროცესის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებულ 17 მიმართულებაზე პასუხისმგებელი სამინისტროების როლისა და მოვალეობების გაზრდა. ყველა სამინისტროში კატასტროფების რისკების მართვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა მკაფიოდ განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით. ეროვნული რეაგირების გეგმაში პრევენციის კომპონენტის გაძლიერება.

3. ყველა მუნიციპალიტეტში კატასტროფების რისკების მართვაზე პასუხისმგებელი სულ მცირე ერთი მუდმივი შტატის გამოყოფა და დანიშვნა. მისი მოვალეობების განსაზღვრა (ტექნიკური დავალების შედგენა), მათ შორის მუნიციპალიტეტის დონეზე კატასტროფების რისკების მართვის კოორდინაცია და ცნობიერების ამაღლება. შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და მინიმალური კომპეტენციის განსაზღვრა.

4. კატასტროფების რისკების მართვაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სამხარეო ადმინისტრაციების შესაძლებლობებისა და საჭიროებების შეფასება და შესაძლებლობების გაძლიერების გეგმის შემუშავება, განხორციელება და თვითმმართველობების ბიუჯეტში ასახვა.

During past several years, the main focus in Georgia was on creation of capacities for rapid and effective response to natural and man-made disasters, while financial resources were mostly directed to recovery of disaster-caused damage with only a very small portion of resources intended for preventive measures.

Participants of the VFL discussions developed the following recommendations to take forward at local, regional and national levels:

1. Increase and clearly determine rights and responsibilities of local government bodies and regional administrations in disaster risk management (DRM) especially in relation to prevention; develop an appropriate legislative framework and harmonize it with the EU Directives.

Make development and approval of municipal DRR plans legally binding. Develop and approve municipal DRR plans based on the unified national guidelines with participation of local communities; Integrate DRR measures into local and regional development strategies and action plans. Mobilize financial resources necessary for implementing the planned measures, ensure donor coordination, participatory monitoring and accountability.

2. Develop a comprehensive national DRR strategy and action plan and on its basis revise and update all sectoral development strategies and action plans.

Use the current revision process of the National Emergency Response Plan (NERP) for increasing the roles and responsibilities of the Ministries responsible for the 17 functional areas under the NERP. Ensure that each Ministry appoints at least one staff member as a DRR focal point with clearly defined Terms of Reference. Advocate for strengthening the disaster prevention component of the NERP.

3. Appoint at least one permanent staff member as disaster risk reduction (DRR) focal point in every municipality; determine minimum qualifications and competences (requirements specification). Clearly determine rights and responsibilities of DRR focal point at municipality level by ToR, including coordination of DRR issues at municipality level and awareness raising.

4. Assess capacities and needs of local government bodies and regional administrations in DRM before increasing their rights and responsibilities; develop and implement capacity building plans and incorporate them in local budgets.

ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე გადაწყვეტილებების მიმღები პირებისათვის საინფორმაციო სამუშაო შეხვედრისა და ტრენინგების (მათ შორის სასწავლო ტურების) ორგანიზება პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში წამყვანი ქვეყნების გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით.

5. კატასტროფების რისკების შემცირების ეროვნული პლატფორმის ჩამოყალიბება ყველა შესაბამისი სამინისტროს, სამხარეო ადმინისტრაციების, ადგილობრივი თვითმმართველობების, სამეცნიერო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით. ეროვნული პლატფორმის უფლებამოსილებების და მუშაობის რეგლამენტის განსაზღვრა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.
6. სტიქიური მოვლენების საფრთხეების, მიყენებული ზარალისა და ზარალის კომპენსირების ერთიანი სივრცითი მონაცემთა ბაზის შექმნა (მუნიციპალიტეტების მიხედვით), რეგულარული განახლება და საჭარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მიყენებული ზარალის შეფასების ერთიანი მეთოდოლოგიის დახვეწა. სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზარალის საბაზისო შეფასება მუნიციპალიტეტების მიხედვით.
7. სივრცული და ურბანული განვითარების გეგმების დამტკიცებამდე მათი გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და კატასტროფების რისკების შემცირების საკითხების გათვალისწინების ვალდებულების დადგენა კანონმდებლობით;

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებში DRR-ის საკითხების ასახვის გაუმჯობესება, პრევენციისა და შერბილების ღონისძიებების სანებართვო პირობებზე ჩამოყალიბება და მათი შესრულების კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა. ამ მიზნით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გეგმებში კატასტროფების რისკების საკითხების გათვალისწინება. მაგალითად, ტყის მართვის გეგმების შემუშავება რისკის ზონების გათვალისწინებით და ამ თვალსაზრისით სავალდებულო სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება.
8. განვითარების პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თემებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობის გაუმჯობესება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში ინფორმირებისა და ადგილობრივ დონეზე კონსულტაციების ჩატარების ეფექტურობის ამაღლებისა და სტრატეგიული გარემოზე ზემოქმედების დანერგვის გზით.
9. DRR-ის საკითხებზე საჯარო სკოლების პედაგოგთა, დირექტორთა და მანდატურთა ტრენინგების ორგანიზების გაგრძელება; საგანგებო სიტუაციების სასკოლო გეგმების შემუშავებაში მხარდაჭერა და წვრთნების დანერგვა. რისკის წინაშე მყოფ თემებში არაფორმალური საგანმანათლებლო / ცნობიერების ამაღლების საქმიანობის გაძლიერება და შესაბამისი რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მოსწავლეების ჩართვა არაფორმალურ საგანმანათლებლო პროგრამებში (საგანგებო სიტუაციების საოჯახო გეგმების შემუშავება).

Organize experience sharing meetings and study tours for national and local decision-makers for sharing best practices and knowledge of developed countries.

5. Develop national DRR platform with participation of all corresponding ministries, regional administrations, local government bodies, academia and NGOs. Determine the national platform's authority and regulations in corresponding normative acts.
6. Create a unified, accessible and upgradable spatial database of disaster risks, damage (disaster losses (lives, livelihoods & assets) and compensations (at the municipal level). Improve a unified methodology for assessing damage inflicted by natural disasters and dangerous events. Conduct basic assessment of disaster-caused damage at the municipal level.
7. Make consideration of DRR and environmental impact issues prior to approving spatial and urban development plans legally binding;

Improve integration of DRR issues in environmental impact assessment reports, include disaster prevention and reduction measures into licensing requirements and ensure monitoring of their implementation. Develop capacities of the Ministry of Environment and Natural Resources Protection to ensure control of adequate integration of DRR issues in disaster risk assessment reports.

Incorporate disaster risk issues in natural resource management plans. For instance, develop forest management plans considering disaster risk zones and elaborate binding guidelines.

8. Improve involvement of potentially vulnerable communities and local governments in decision-making on development projects through increased awareness of Environmental Impact Assessment (EIA) process and consultations at the local level and introduce environmental impact strategy.
9. Continue conducting of DRR trainings for school teachers, principals and education resource officers ('mandaturi'); support schools in development of school disaster preparedness and response plans and implementation of regular simulation exercises; improve informal education/ awareness activities in vulnerable communities and ensure accessibility of necessary resources. Ensure students' participation in informal education programs (develop family emergency preparedness and response plans).
10. Build up civil society and media's capacities in DRR issues at the local level through trainings

10. ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების და მედიის შესაძლებლობების გაძლიერება (ტრენინგები, მცირე გრანტების პროგრამები) DRR-ის საკითხებზე. ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება ადგილობრივი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების, ასევე მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით.
 11. კატასტროფების რისკების მართვაში განუვლი ხარჯებისა და მიღებული სარგებლის ანალიზის საფუძველზე (მათ შორის პრევენციული ღონისძიებებისა და მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის ყოველწლიურად განუვლი ხარჯები და მათი შედეგები) ფინანსური რე-სურსების უფრო ეფექტური განაწილების დაგეგმვა. მრავალჯერადი კომპენსაციის პრობლემის მოგვარება. კატასტროფების საფრთხეების პრიორიტეტიზაციისათვის კრიტერიუმების განსაზღვრა.
 12. ეროვნულ და მუნიციპალიტეტების დონეზე ადრეული გაფრთხილების სისტემების დანერგვა.
 13. კატასტროფების საშიშროების მიხედვით საქართველოს ტერიტორიის ზონირების რუკების გაუმჯობესება. რისკის მსხვილმასშტაბიანი რუკების მომზადება პრიორიტეტულობის მიხედვით; რისკის ზონის ერთიანი დეფინიციის დადგენა; საჯარო რეესტრში კატასტროფების რისკის ზონირების მონაცემების დამატება. არასასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისების პროცესში რისკის შეფასების ვალდებულების განსაზღვრა კანონმდებლობით. მაღალი რისკის ზონების სუბსიდირება, იქ სადაც სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია დასახლებების შენარჩუნება.
- and small grants programs. Carry out awareness campaigns with participation of local NGOs, community organizations and mass media.
 11. Plan more effective distribution of resources based on cost and benefit analysis (including annual cost of preventive measures and indemnities and their results). Address the indemnity payment problem. Identify criteria for disaster risk prioritization.
 12. Introduce the early warning system at the national and municipal levels.
 13. Improvement of territorial zoning of Georgia according to disaster risk level. Create disaster risk maps by priorities; establish a single definition of the risk zone; include disaster risk zone data in the Public Registry. Make disaster risk assessment legally binding during alienation of non-agricultural lands. Allocate funds for preserving settlements of strategic importance in the high-risk zones.

შესავალი

საქართველოში ადგილი აქვს სხვადასხვა სახის, მასშტაბისა და ხშირად განმეორებად, ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორებით გამოწვეულ კატასტროფებს, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა ქვეყნის მდგრად განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაზე.

2005 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ჰიოგოს სამოქმედო პროგრამა 2005-2015 წლებისათვის „კატასტროფების მიმართ ქვეყნებისა და თემების გამძლეობის შექმნა“, რითაც დაადასტურა, რომ კატასტროფების რისკების შემცირება გახდა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი ქვეყნისათვის.

საქართველოში კატასტროფების რისკების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობები რეგულირდება შემდეგი კანონებითა და ნორმატიული აქტებით:

- საქართველოს კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ, 1997;
- საქართველოს კანონი ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ, 2007;
- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა, დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის #415 ბრძანებულებით.

DRR-ის სფეროში საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტები ფოკუსირებულია რეაგირებასა და მომხდარი კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციაზე, მაშინ როცა თითქმის არ ეხებიან პრევენციისა და შერბილების საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტებით არ არის განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კონკრეტული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

კატასტროფების რისკების მართვის სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი უწყებაა ეროვნული უშიშროების საბჭო. კატასტროფების რისკების მართვაში მონაწილეობას იღებს რამდენიმე სახელმწიფო ორგანო:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია სტიქიური უბედურების ან ტექნოგენური ავარიის თავიდან აცილების, მათი შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის მიზნით საქმიანობების კოორდინაციაზე.
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არის ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო პროგრამის ეროვნულ დონეზე განხორციელების კოორდინატორი. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ფუნქციებში შედის პიდრომეტეოროლოგიური და გეოდინამიკური დაკვირვებების წარმოება, პროგნოზების შემუშავება, მოსალოდნელი სტიქიური პიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებისა და გარემოს ექსტრემალურად მაღალი დაბინძურების შესახებ სპეციალური გაფრთხილების მომზადება, შეტყობინება, საშიშროების რისკების შეფასება, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მონაწილეობას იღებს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობებში, ასევე კოორდინაციას უწევს პრევენციული ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობასა და რეაბილიტაციას.

INTRODUCTION

Natural and man-made disasters of different types and intensity, taking place in Georgia, are recurrent and hinder the country's sustainable development and poverty reduction efforts.

In 2005, the Georgian government ratified the Hyogo Framework for Action (HFA) 2005-2015 Building the Resilience of Nations and Communities to Disasters. By this step the government demonstrated that disaster risk reduction (DRR) was one of the country's priorities.

The following laws and normative acts regulate disaster risk management issues in Georgia:

- Law of Georgia on Emergency Situations of 1997;
- Law of Georgia on Protection of the Population and Territories from Natural and Man-made Emergency Situations, 2007;
- National Response Plan on Natural and Man-made Emergency Situations, approved by Decree #415 of the President of Georgia, 2008.

The DRR-related legislation and regulations are focused on response and elimination of the disaster consequences rather than prevention and mitigation. These documents do not envisage any specific roles and responsibilities for planning and implementation of preventive measures.

The National Security Council is the main policy-maker in the sphere of disaster risk management. Other government bodies involved in disaster risk management are:

- *Emergency Management Department at the Ministry of Interior Affairs of Georgia* - coordinates measures aimed at prevention of natural or man-made disasters, mitigation and elimination of their consequences.
- *The Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia* is the national coordinator of the Hyogo Framework for Action 2005-2015. *National Environmental Agency, legal entity of public law under the Ministry of Environment and Natural Resources Protection* – responsible for conducting hydro-meteorological and geodynamic observations, developing programs, ensuring preparedness for potential hydro-meteorological and geological disasters and extremely high pollution levels, warning, disaster risk assessment and planning of preventive measures.
- *Ministry of Regional Development and Infrastructure*

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია უზრუნველყოფს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს.

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება სტიქიით დაზარალებულთა განსახლების საკითხები.

ჭერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ეფექტურად ფუნქციონირებადი ეროვნული პლატფორმა, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა ზემოთ აღნიშნული სამთავრობო უწყებების მუშაობას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა კატასტროფების რისკების მართვის სფეროში ერთიანი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებას და პრევენციული ღონისძიებების უფრო ეფექტურ დაგეგმვასა და განხორციელებას.

საქართველოს არ გააჩნია ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. შესაბამისად პრევენციული ღონისძიებები არ არის ხანგრძლივადიანად დაგეგმილი და პრიორიტეზირებული არც ეროვნულ და არც რეგიონულ/მუნიციპალურ დონეებზე.

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამით (NEAP, 2012-2016) განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები მიმართულებებით:

- მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემის სრულყოფა/ მოდერნიზაცია;
- მდინარეთა აუზებში წყალდიდობა-წყალმოვარდნების უარყოფითი შედეგების შემცირება;
- ცალკეული სახეობის სტიქიურ მოვლენებზე (სეტყვა, გვალვა, თოვლის ზვავები) ხელოვნური ზემოქმედების სამუშაოების აღდგენა;
- სამრეწველო ავარიების რისკების შემცირება.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო კატასტროფების რისკების საკითხს განიხილავს, როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას და გეგმავს შესაბამისი სპეციალური სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებას, რომელიც ამ სფეროში ხელს შეუწყობს კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერებას. ასევე მომდევნო წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა განვითარების პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებში, ასევე სივრცული განვითარების პროექტებში კატასტროფების რისკების საკითხების ასახვას, რისკების შემცირების ღონისძიებების სანებართვო პირობებად განსაზღვრასა და მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას.

2013-2016 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD)¹ კატასტროფების რისკების მართვის სფეროში პრიორიტეტებადაა დასახული შემდეგი მიმართულებები:

- სტიქიური მოვლენების პროგნოზირებისა და მოსახლეობის დროული გაფრთხილების სისტემის შექმნა;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და მდინარეების ნაპირების დაცვა-აღდგენითი სამუშაოების განხორციელება;
- მინის რესურსების მდგრადი გამოყენების

¹ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელსაც შეიმუშავებს საქართველოს მთავრობა

– participates in disaster recovery operations, coordinates building and rehabilitation of prevention infrastructure.

Technical and Building Inspection under the Ministry of Economics and Sustainable Development – state supervision and control of facilities posing high technical hazard.

Ministry of IDPs from the Occupied Territories, Accommodation and Refugees – accommodation of disaster-affected population.

Georgia has no national disaster risk management strategy or action plan, so there is no long-term preventive planning and prioritization at either national or regional/municipal level.

Based on the needs and problems existing in the sphere of natural and man-made disaster risk management, the Second National Environmental Action Plan for 2012-2016 (NEAP) sets the following objectives and actions for their implementation:

- Improvement/modernization of the early warning system;
- Prevention/mitigation of negative impacts of floods and flash floods in river basins
- Restoration of weather control measures (hail, drought, avalanche prevention);
- Risk reduction from industrial accidents.

Presently the Ministry of Environment and Natural Resources Protection regards DRR as one of the priorities and plans to establish a corresponding structural unit that would promote coordination and cooperation in this field. In the following years the ministry will also focus on integration of DRR issues in Environmental Impact Assessment (EIA) reports of development projects, as well as in specification of DRR as a standard component in spatial development plans, inclusion of DRR measures in licensing requirements and control of their implementation.

The Country Basic Data and Directions for 2013-2016¹ sets the following priority directions in disaster risk management sphere:

- Establishment of disaster prediction and early warning systems;
- Protection and restoration of the Black Sea coast and river banks;
- Establishment of mechanisms for sustainable use of

¹ The Main Data and Directions document is the main plan of country's development, elaborated by the government of Georgia.

მექანიზმების შემუშავება ეროვნების შემცირებისა და გაუდაბნობის თავიდან აცილებისათვის;

- გარემოსდაცვითი საკითხების სავალდებულო გათვალისწინება ურბანული დაგეგმვისა და სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტების შესაბამისად გაიზარდა გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგის, პროგნოზირებისა და პრევენციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები:

გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (ათასი ლარი)
Monitoring, Prediction And Prevention Measures In Environmental Protection Sphere (Thousand GEL)

| 2011 | 2012 | 2013 |
|--------|----------|-------|
| 2, 030 | 1, 792,6 | 3,019 |

ასევე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 82,6 მლნ ლარი 2012 წელს განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად და დაზარალებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად².

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით კატასტროფების რისკების შემცირებაში ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ფუნქციებად განსაზღვრულია მხოლოდ დაზარალებული მოსახლეობისათვის ერთჯერადი დახმარებების გაცემა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად ხდება ამ მიმართულებით ფინანსური რესურსების გამოყოფა მუნიციპალიტეტებისათვის. არც ერთი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტად არ არის მიჩნეული სტიქიური მოვლენების პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოში კატასტროფების რისკების მართვის განვითარებისათვის არსებით როლს ასრულებს საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება. ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ფორმატის ეგიდით დაფინანსდა რეგიონალური **PPRD East-ის პროგრამა** (პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება კატასტროფებზე); **შვეიცარიის განვითარების სააგენტო (SDC)** მხარს უჭერს შინაგად საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის განვითარებაში, ასევე ხელს უწყობს ადგილობრივ დონეზე კატასტროფებით გამოწვეული დანაკარგების შემცირებას პრევენციისა და მზადყოფნის გაძლიერებით; საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის განვითარებას მხარს უჭერს აგრეთვე **EU Twinning** პროგრამა. **SDC** და **UNDP** საქართველოს მთავრობას ეხმარებიან **HFA**-ით გათვალისწინებული ეროვნული პოლიტიკის შემუშავებასა და **DRR**-ის სფეროში კოორდინაციის გაძლიერებაში. **UNDP** ხელს უწყობს, აგრეთვე, მდ. რიონის აუზში მიზნობრივი რაიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და მოსახლეობის ადაპტაციის შესაძლებლობების განვითარებას, დაგეგმვისა და ადგილობრივი შეტყობინების სისტემების ჩამოყალიბებას. **ჩეხეთის განვითარების სააგენტო** მხარს უჭერს გარემოს ეროვნულ სააგენტოს სადამკვირვებლო (მონიტორინგის ქსელების) და მონაცემთა დამუშავების შესაძლებლობების გაძლიერებას. **სლოვაკეთის განვითარების სააგენტო** მხარს უჭერს წყალდიდობების რისკების შეფასების ევროკავშირის დირექტივის საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაციის პროცესს. ნიდერლანდების სამეფოს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სოციალური ტრანსფორმაციის პროგრამის (**MATRA**) მხარდაჭერით მომზადდა საქართველოში ბუნებრივი სტიქიური მოვლენების საფრთხეებისა და რისკების ატლასი (<http://drm.cenn.org>). ევროპის კომისიის ჰუმანიტარული დახმარების კატასტროფებისადმი მზადყოფნის პროგრამის (**DIPECHO**) ფარგლებში ხორციელდება პროექტები კატასტროფების

land resources to reduce erosion and prevent desertification;

- Mandatory integration of environmental issues into urban development and building process.

Based on the above priorities, more funds have been allocated from the state budget for monitoring, prediction and prevention measures in the sphere of environmental protection:

The state budget also earmarks GEL 82.6 million for assistance to the population affected by natural disasters in 2012 and rehabilitation of damaged infrastructure .²

According to the Country Basic Data and Directions for 2013-2016, the DRR function of local municipalities is only provision of single-time aid to the affected population and compensation of the inflicted damage in the frames of Social support programs. Accordingly, the aid and compensation funds are allocated to the local municipalities. Disaster prevention measures are not a priority in any of the local municipalities.

Assistance of international organizations plays significant role in development of disaster risk management in Georgia. These organizations include the EU-funded Programme for the Prevention, Preparedness and Response to Man-made and Natural Disasters in the ENPI East Region (**PPRD East**); Swiss Agency for Cooperation and Development (**SDC**) supports development of the Emergency Management Department at the Ministry of Interior Affairs. **SDC** also supports reduction of disaster-caused losses and improvement of preparedness at the local level in six municipalities in mountain regions of Georgia. **EMD** capacity is also developed through the **EU twinning project**. **SDC** and **UNDP** assist the Georgian Government in elaborating the national policy envisaged by the HFA as well as in strengthening cooperation in the DRR field. **UNDP** supports the governments and the population of the target region of Rioni Basin to develop adaptive capacity and embark on climate resilient economic development. **Czech Development Agency (CRA)** is supporting National Environmental Agency's efforts for the establishment of monitoring networks and building data processing capacities. **Slovak Research and Development Agency** supports implementation of EU Directive on the assessment and management of flood risks in Georgian legislation. Electronic and printed atlases of natural hazards and risks of Georgia have been prepared with support of Netherlands' programme for social transformation in Central and Eastern Europe (**MATRA**) (<http://drm.cenn.org>). Projects on capacity building in DRR are implemented within the framework of the European

² ქვეყნის 2013-2016 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი

² The Main Data and Directions for 2013-2016 document.

რისკების მართვაში შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით.

2005 წლის შემდგომ საქართველოში აღინიშნება გარკვეული წინსვლა ეროვნულ დონეზე კატასტროფების რისკების მართვის სფეროში სტრატეგიული, სამართლებრივი და მარეგულირებელი დოკუმენტების მიღებისა და რისკებზე რეაგირებასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაძლიერების მხრივ. თუმცა ადგილობრივ დონეზე, კატასტროფების რისკის წინაშე მყოფ თემებში ცვლილებები ჯერ კიდევ ნაკლებ შესამჩნევია, რასაც ადასტურებს „ხედვა წინახაზიდან“ ინიციატივის ფარგლებში ჩატარებული კვლევები.

საქართველოს ანგარიში „ხედვა წინახაზიდან - 2013“ წარმოადგენს ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის განხორციელების საზოგადოებრივი მონიტორინგის ნაწილს, რომელიც ხორციელდება 2009 წლიდან „ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების გლობალური ქსელის“ (GNDR) ინიციატივით.

კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus), როგორც აღნიშნული ქსელის წევრი, კვლევას ახორციელებს საქართველოსა და სომხეთში. სამხრეთ კავკასიის რეგიონი VFL-ის ინიციატივაში ჩაერთო 2011 წელს. რეგიონულ დონეზე კვლევის განხორციელებას კოორდინაციას უწევს Oxfam. ხედვა წინახაზიდან - 2013 საქართველოსა და სომხეთში განხორციელდა შვეიცარიის განვითარების სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით.

ადგილობრივ დონეზე კვლევები ჩატარდა პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ: საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, საქართველოს ბუნების მოყვარულთა საზოგადოება, შავი ზღვის ეკოაკადემია, ფონდი Abkhaz Intercont, გურამ თიკანაძის სახელობის სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი.

საქართველოს ანგარიშის „ხედვა წინახაზიდან - 2013“ სტრუქტურის მიხედვით შემდეგნაირად:

პირველ თავში წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის „ხედვა წინახაზიდან - 2013“ მიზნების, მონაწილეობის შედეგებისა და მეთოდების შესახებ. მოცემულია საქართველოში კვლევის განხორციელების მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა.

მეორე თავში მიმოხილულია საქართველოში გავრცელებული ძირითადი კატასტროფები და მათი უარყოფითი შედეგები, წარმოდგენილია კატასტროფების რისკების რუკები.

მესამე თავში წარმოდგენილია თემების შეხედულებები და ადგილობრივ დონეზე კატასტროფების რისკების შემცირებაში წინსვლის შეფასება.

მეოთხე თავში მოყვანილია მაგალითები, რომლებიც ახდენენ ადგილობრივ დონეზე კატასტროფების რისკების შემცირების არსებული პრაქტიკის ილუსტრირებას.

მეხუთე თავში შეჯამებულია გამოვლენილი პრობლემები, წინააღმდეგობები, შესაძლებლობები და მოცემულია კვლევის „ხედვა წინახაზიდან - 2013“ მონაწილეთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

Commission's Disaster Preparedness ECHO programme (DIPECHO).

Since 2005 there has been some progress achieved in Georgia in disaster risk management, which is expressed in the adoption of the legal and regulatory acts at the national level, increased capacity of the relevant structures engaged in disaster management and emergency response. However at the local level, changes are still less visible in the communities facing disaster risks, which is proved by the research conducted within the initiative “View from Frontline”.

VFL 2013 Georgia is part of public monitoring of HFA implementation, launched in 2009 by the initiative of the Global Network of Civil Society Organisations for Disaster Reduction (GNDR).

The Regional Environmental Center for the Caucasus (REC Caucasus), as a GNDR member, is carrying out the survey in Georgia and Armenia with Oxfam's coordination and SDC's support. The South Caucasus started participating in the VFL programme in 2011.

At the local level (vulnerable communities) the surveys were conducted by partner organizations: Georgian Red Cross Society, Georgian Society of Nature Friends, Black Sea Eco-Academy, Abkhaz Intercont fund and Guram Tikanidze Svaneti Youth Center.

Views from the Frontline 2013 Georgia has the following structure:

First Chapter comprises information on VFL 2013 objectives, expectations and methods as well as detailed description of the survey carried out in Georgia.

Second Chapter contains analysis of most frequently occurring disasters and their aftermaths, as well as disaster risks maps of Georgia.

Third Chapter includes views of vulnerable communities and assessment of progress towards DRR at the local level.

Fourth Chapter analyzes cases that illustrate DRR mechanisms available at the local level.

Fifth Chapter summarizes the identified problems, contradictions and capacities and presents recommendations, developed by VFL 2013 survey participants in consultation with DRR stakeholders at the national level.

I. პროექტი „ხედვა წინახაზიდან“

ფონური ინფორმაცია

2005 წელს ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის მიღების შემდგომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოხატეს შეშფოთება, რომ მაღალ დონეზე მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები ეფექტურად არ განხორციელდებოდა ადგილებზე (წინახაზზე) - კატასტროფების საფრთხის წინაშე მყოფ მილიონობით თემში. 2007 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებმა დააფუძნეს „კატასტროფების შემცირების გლობალური ქსელი“ (GNDR), რათა გაეერთიანებინათ „ხმა ადგილებიდან“ და მიეღწიათ საერთაშორისო პოლიტიკასა და პრაქტიკაში ადგილობრივი თემების საჭიროებების ასახვისათვის.

GNDR-ის უმთავრესი ინიციატივაა პროექტი „ხედვა წინახაზიდან“ (Views from the Frontline), რომლის მიზანია გამოავლინოს თუ როგორ აფასებენ ადგილობრივი თემები კატასტროფების რისკების შემცირებაში მიღწეულ პროგრესს. ამ გზით პროექტი ცდილობს გამოავლინოს საკითხები, რომელთა გადაჭრა საჭიროებს მეტ ძალისხმევას, ასევე ხელს უწყობს პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტური ქმედებების განხორციელებისათვის.

პროექტი ინიცირებული იქნა 2009 წელს და მის შედეგებს აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა გლობალურ პლატფორმაზე, სადაც პროექტი წარადგენს რისკის წინაშე მყოფი თემების შეხედულებებს. VFL 2013-ის ამოცანაა მომზადება დისკუსიებისათვის ჰიოგოს სამოქმედო გეგმის თაობაზე 2015 წლის შემდგომ.

2009 და 2011 წლებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო ადგილობრივ დონეზე რისკების გაცნობიერებისა და შესაბამისი ქმედებების დაგეგმვის მნიშვნელობა კატასტროფებისადმი თემების მდგრადობის შექმნაში. შედეგად 2013 წელს „ხედვა წინახაზიდან“ ფოკუსირებულია სწორედ გაცნობიერებასა და ქმედებების დაგეგმვაზე, რაც საშუალებას აძლევს ადგილობრივ თემებს გახდნენ კატასტროფების რისკებისადმი მდგრადობის უზრუნველყოფის უფრო აქტიური მონაწილეები.

პროექტის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

პროექტი „ხედვა წინახაზიდან“ უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის ეფექტურ განხორციელებას და გააძლიეროს რისკის წინაშე მყოფი და მოწყვლადი თემების მდგრადობა კატასტროფებისადმი.

2013 წელს პროექტის „ხედვა წინახაზიდან“ კონკრეტული მიზნებია:

- ადგილობრივ დონეზე კატასტროფების რისკების შემცირების პროგრესის გლობალური მიმოხილვის მომზადება;
- ადგილობრივ დონეზე ცვლილებების პროცესის მოდელირება და შესაძლებლობების გაძლიერება რისკების გაცნობიერებისა და შესაბამისი ქმედებების დაგეგმვისათვის.

I. VIEWS FROM THE FRONTLINE PROJECT

BACKGROUND

When the UN established a ten year programme for improvement in Disaster Risk Reduction in 2005, the 'Hyogo Framework for Action' (HFA); many NGOs were concerned that the high level policy would not be matched by effective implementation at the 'Frontline' in the millions of communities round the world exposed to natural disasters. They formed the 'Global Network for Disaster Reduction' (GNDR) to collaborate in securing a stronger voice for communities and more effective implementation of the Framework.

The Network's key action has been 'Views from the Frontline' project in which the assessments of stakeholders at the local level are gathered in order to assess their views of progress. By doing so, the project highlights the areas where more action is needed, and also builds local level partnerships to mobilize more effective action.

The 'Views from the Frontline' (VFL) project, initiated in 2009, highly effective at the international level, where the presentation of views from respondents from different countries are made a major impact at the UN 'Global Platform for Disaster Risk Reduction', and at the local level, where dialogue, collaboration and action have been promoted. VFL 2013 now aims to prepare the way for a HFA Post -2015 discussion.

These programmes highlighted the role of **local action and learning** as being at the heart of community resilience, and members have called for VFL to support implementation based on this. As a result VFL 2013 focuses on **Action and Learning**. This is the cycle of reflection, learning and action which enables communities to become active participants in building community resilience.

PROJECT OBJECTIVES AND EXPECTED RESULTS

The main goal of 'Views from the Frontline' is to support the effective implementation of the HFA to build the resilience of vulnerable people and communities *at-risk* to disasters.

The VFL 2013 specific **objectives** are:

To provide a global overview of progress in Local Level Action to reduce "extensive" disaster risk.

- To model a local change process and build local capacities for *action and learning* (*reflection>learning>action*).

კატასტროფების რისკების შემცირებასა და თემების მდგრადობაზე ცნობიერების ამაღლება;

- კატასტროფების რისკების შემცირებაზე პასუხისმგებელ სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის გაძლიერება.

ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე პროექტის შედეგები უნდა იყოს:

- გლობალურ დონეზე იმის დადასტურება, რომ ადგილობრივ დონეზე რისკების გაცნობიერება და შესაბამისი დაგეგმვა არის ჰიოჯოს მოქმედებათა გეგმის შემდგომი სტრატეგიის საწყისი ნერტილი;
- აქტიური თემების ხელშეწყობა და რისკების გამომწვევი მიზეზებზე რეაგირება, თემების მდგრადობის გაძლიერება;
- ადგილობრივ დონეზე პარტნიორობის, ვალდებულებებისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე ერთობლივი პროპაგანდა;
- პრაქტიკული გამოცდილებისა, ცოდნისა და მიღებული გაკვეთილების გაზიარება.
- ადგილობრივ დონეზე ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებისაკენ მიმართულ ინვესტიციებზე პოლიტიკური ვალდებულებების გაძლიერება

- To raise awareness and understanding of disaster risk reduction and community resilience.
- To increase participation, dialogue and relationships between different state and non-state actors responsible for reducing risk.

The project outputs at the country and regional level include:

- To provide evidence from these local level activities to make a strong case at the global level that local level reflection, knowledge and action is the starting point for the global post-HFA strategy
- To promote active communities and address underlying risk factors, building community resilience.
- To build understanding, engagement and local partnerships for action through action learning
- Joint advocacy and strategy at the national, regional and international level
- Sharing of practical experience, knowledge and learning
- Increased political commitment for disaster risk reduction investments at the local level

კვლევის მეთოდი

"ხედვა წინახაზიდან" არის მონაწილეობითი მონიტორინგის პროექტი, რომელიც მოიცავს კვლევასა და კონსულტაციების კომპონენტებს, რათა შეფასდეს ადგილობრივ დონეზე კატასტროფებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების არსებული პრაქტიკა.

პროექტის ხელს უწყობს ადგილობრივ დონეზე დაინტერესებული მხარეების მობილიზაციას, რათა შეფასდეს HFA-ის განხორციელებაში მიღწეული პროგრესი ადგილობრივ დონეზე. ამგვარად ხდება იმ საკითხების გამოკვეთა, რომელთა გადაჭრა საჭიროებს მეტ ძალისხმევას. ასევე ხდება ადგილობრივ დონეზე პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

The same happens in Adjara, where affected communities contribute manual labor and governmental organizations allocate equipment for disaster response measures, for example for cleaning roads and channels. International organizations are giving tangible assistance too. Thus, flood control channels have been arranged with participation of local volunteers within the framework of Oxfam's programme. Oxfam supports official registration of village lobbyists as well, who are developing disaster prevention projects with assistance of initiative group members to obtain co-funding from the local government.

The second indicator measures barriers to progress in DRR that cannot be controlled by communities (such as government decisions concerning financial resources, environmental management, agricultural development, construction and planning). Based on this indicator, opinions of communities and local government bodies slightly differ. The communities believe that such barriers do not influence progress significantly, while government bodies believe that they do have a certain influence.

Comments made by respondents in Imereti explain why negative answers prevail: the locals apparently do not see any connection between development projects/programs and natural disasters. They fail to realize environmental impact of projects/programmes and negative outcomes of improper environmental management.

Local communities are more or less engaged in planning activities under the Rural Support Programme and they influence allocation of funds for DRR measures within the framework of the programme⁵.

5 According to the Rural Support Programme implemented by the Georgian Government in 2009, funds were given directly to villages in view of the number of local households and population. The purposes for which the money was allocated were identified through consultations with the village population. Local municipalities were responsible for conducting a survey of the local population, holding a village meeting, and agree with the population for which purposes the amounts should be spent.

სოფელი მთისპირი მდებარეობს გურიის გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში, მდ. ბახვისწყალის ხეობის მარჯვენა ფერდობზე. სოფლის მიმდებარე ტერიტორიებზე ქანები ძლიერ დანაპრალიანებულია, რაც ბუნებრივი გეოლოგიური აგებულების გარდა გამოწვეულია ბენტონიტური თიხების კარიერზე მიმდინარე სამუშაოების დროს არარეგლამინტირებული აფეთქებებით. 1996 წლის მიწისძვრებმა (5,5-6,0 ბალიანი) განაპირობეს გეოეკოლოგიური პირობების მნიშვნელოვნად გართულება. სოფ. მთისპირეთში მეტ-ნაკლები ხარისხით დაზიანებულია საცხოვრებელი სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების თითქმის ნახევარი.

მიუხედავად არსებული რთული გეოდინამიკური პირობებისა სოფელ მთისპირში, უკანავას თემში, მდ. ბახვზე ჰესის 5 კასკადის მშენებლობა დაპროექტდა. „ბახვი-3“ ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საექსპერტო დასკვნაში გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ აღინიშნა საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების გაუთვალისწინებლობისა და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების არასათანადო ხარისხის თაობაზე, რაც მშენებლების მიერ არ იქნა გათვალისწინებული.

შედეგად „ბახვი-3“ ჰესის მშენებლობის დროს განვითარდა მენყრული პროცესები, ჩამონვა გრუნტის მასები, რამაც გამოიწვია საგენერატორი შენობის ძლიერი დეფორმაცია, გრუნტით დაფარვა და სამშენებლო სამუშაოების მთლიანად შეწყვეტა.

მდ. ბახვისწყალზე ჰესების მშენებლობა კვლავ მიმდინარეობს. გარემოს ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენში (2012-2013 წლები) აღნიშნულია, რომ საფრთხე კვლავ ემუქრება საავტომობილო გზას და „ბახვი-2“-ის სამშენებლო მოედანს. ძალოვანი კვანძის (საგენერატორო შენობის) განთავსების ადგილის მიმდებარედ ფიქსირდება მენყრული მოვლენების განვითარება. მდ. ბახვისწყალის ხეობის აღმოსავლეთ ნაწილში ფერდის ჩამოტრამ გამოიწვია გრუნტის მასების ჩამონოლა. მენყრესანიხააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების ჩატარების გარეშე შესაძლებელია მენყრული პროცესების მასშტაბების მნიშვნელოვანი გაზრდა.



The village of Mtsipiri is located in the foothills of Guria on the right slope of the Bakhvistskali Gorge. The strata around the village are strongly fractured due to natural geological factors and unregulated explosions at the bentonite clay quarry. The 5.5-6.0 intensity earthquakes in 1996 caused further fracturing and disintegration of the strata and significantly complicated geocological conditions in the area. Almost half of houses and household plots in Mtsipiri were damaged to a different degree.

Despite the complex geodynamic conditions, it was decided to construct 5 hydro plants on the Bakhvi River in the Ukanava community in Mtsipiri. In their review of Bakhvi-3 HPP environmental impact assessment report, experts from the National Environmental Agency (NEA) pointed out that the report failed to analyze development of geodynamic hazards, and geotechnical survey was conducted inappropriately. The HPP builders, however, ignored the experts' opinion. Landslides, developed in the course of Bakhvi-3 construction, triggered collapse of the soil that strongly damaged the generator house and halted the construction.

Nevertheless, construction of hydro plants has resumed. The NEA Newsletter for 2012-13 reads that the highway and Bakhvi-2 construction site remain in danger. Landslide processes are developing in the area of the generator house. Cutting in the eastern slope of the Bakhvistskali Gorge triggered collapse of the soil and can now significantly promote land sliding unless preventive measures are taken timely.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდეს კატასტროფების რისკების შემცირებისაკენ მიმართული ღონისძიებები. მოსახლეობა არ არის ჩართული ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვაში, ასევე განვითარების პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

However, local communities have no say in local budget planning or decision making on development programmes.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით განვითარების პროექტებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია გარემოზე ზემოქმედების შეფასება საზოგადოების მონაწილეობით, უფრო მეტიც, გზმ-ს ანგარიშების საჯარო განხილვების ჩატარება პროექტის განხორციელების ადგილზე, ადგილობრივი თემების ინტერესი ასეთი საკითხების მიმართ ხშირ შემთხვევაში არის დაბალი, ისინი ვერ ახდენენ რეალურ ზეგავლენას გადაწყვეტილების მიღებაზე. ეს თავის მხრივ განპირობებულია მათ საცხოვრებელ გარემოზე ამა თუ იმ განვითარების პროექტის შესაძლო ზეგავლენის შესახებ მცირე ინფორმირებულობით, ცოდნით და შესაბამისი გამოცდილების ნაკლებობით. მეორე მხრივ, როგორც პროექტის ინიციატორების, ასევე ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივ თემებთან კონსულტაციები არ არის გაცნობიერებული, როგორც ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტი. მთელ რიგ შემთხვევებში საქმიანობის განმახორციელებელი ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებას და მასთან ეფექტური კონსულტაციების ჩატარებას. სათანადო ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობის გამო გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში არ ხდება კატასტროფების რისკების შემცირების საკითხების სათანადო გათვალისწინება, შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, მათი ჩამოყალიბება სანებართვო პირობად და მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.

By Georgian law, participatory assessment of environmental impact is a component of decision-making on development projects, just as public discussion of EIA reports in project implementation areas. Yet, interest of local communities to such issues is rather low and they have no real influence on made decisions. This is conditioned by their unawareness of project's possible impact on their living environment and lack of necessary experience. On the other hand, project implementers and authorities fail to realize that consultations with local communities represent an optimal decision-making tool. The implementers often fail to provide necessary information to local communities and to hold effective consultations with them. The lack of sufficient experience and knowledge impedes integration of DRR issues into environmental impact assessment process. It also hinders planning of mitigating measures, their inclusion into licensing requirements and control of their implementation.

3.4 პროგრამის მონიტორინგი და

3.4 OBSERVATION / REFLECTION

ანგარიშგება

ინდიკატორთა ამ ჯგუფის მიხედვით აღინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავება თემებისა და მმართველობის ორგანოების წარმომადგენლების შეფასებებში, განსაკუთრებით ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ კატასტროფების რისკების შემცირების მონიტორინგსა და მოსახლეობასთან კომუნიკაციის მხრივ.

According to the following indicators, community representatives and local government bodies have significantly different opinions, especially as regards DRR monitoring by local governments and their communication with the population.

ცხრილი 5. საშუალო ქულები მონიტორინგისა და ანგარიშგების ინდიკატორების მიხედვით
Table 5. Averages for HFA Observation / Reflection Indicators

| ძირითადი ინდიკატორები Key Indicators | ადგილობრივი მმართველობის ორგანოები Local Government | თემების წარმომადგენლები Community Representatives | საშუალო ქულა Average Score |
|--|--|--|-------------------------------|
| ჩართულობა რისკის შეფასებაში Risk Assessment | 3.09 | 2.49 | 2,61 |
| პროგრესის მონიტორინგი Monitoring | 3.04 | 2.39 | 2,51 |
| კომუნიკაცია/ცნობიერების ამაღლება Communication/Public Awareness | 2.96 | 2.03 | 2,22 |

მოსახლეობა მეტწილად მონაწილეობს რისკების შეფასებაში, ასევე მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ ინფორმაციას აწვდიან შესაბამის უწყებებს. მიაჩნიათ, რომ რისკების რეალური შეფასება შეუძლებელიც კი იქნება მათი ჩართვისა და მონაწილეობის გარეშე.

Communities are involved into disaster risk assessment to a certain degree. Community representatives provide corresponding information to risk assessment groups comprised of representatives of governmental and non-governmental organizations. They also provide information on the existing risks in verbal and written form to representatives of the government. One part of the

მმართველობის ორგანოები რეაგირებას არ ახდენენ თემებისაგან მიწოდებულ ინფორმაციაზე მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. მაგალითად, სოფელ მულახის (სვანეთის რეგიონი, მესტიის მუნიციპალიტეტი) თემი ყოველწლიურად ატყობინებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას იმ საშიშროების შესახებ, რასაც მდ. მულხურა გაზაფხულის წყალდიდობების დროს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას. მდინარემ უკვე წალეკა რამდენიმე ჰექტარი სათიბი მიწა, თანდათან უახლოვდება მოსახლეობას და დიდ საფრთხეს უქმნის. თითქმის ყოველ გაზაფხულზე მდინარეს მიაქვს ხიდი და სოფელი გარკვეული პერიოდით რჩება მონყვეტილი რაიონს. მაგრამ კაპიტალური ხიდის გაკეთებაზე გადაწყვეტილების მიღება არ ხდება.

სვანეთის მოსახლეობა მიიჩნევს, რომ საერთოდ არ არიან ჩართული კატასტროფების რისკების შეფასებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობასა და მოსახლეობას შორის აზრთა სრული სხვადასხვაობაა. ადგილობრივი თემების აზრით საშიშროების დონე არის გაცილებით მაღალი, ვიდრე ეს შეფასებულია სპეციალური სამსახურების მიერ. მოსახლეობის ჩართულობის შემთხვევაში რისკის შეფასება უფრო რეალისტური იქნებოდა და შესაბამისად დაიგეგმებოდა პრევენციული ღონისძიებები. სოფელ ლატალიში აღნიშნეს, რომ მოსახლეობის ჩართვა რისკების შეფასებაში არ შედის ადგილობრივი მმართველობის ინტერესში, რადგან მათ არ სურთ აჩვენონ საშიშროების რეალური დონე, რათა მოსახლეობისაგან მოთხოვნები იყოს ნაკლები.

არ ხორციელდება კატასტროფების რისკების შემცირებაში პროგრესის სისტემატური მონიტორინგი. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები გარკვეული პერიოდულობით ადგილზე შეისწავლიან რისკის წინაშე მყოფი მოსახლეობის მდგომარეობას, ასევე ინვესტენ სპეციალისტებს რისკების შეფასებისათვის. რა თქმა უნდა კონტროლს უწევენ ჩატარებულ სამუშაოებს. მაგრამ ადგილობრივ დონეებზე არ არის განსაზღვრული კატასტროფების რისკების შემცირების ამოცანები, მათი გადაჭრის გაზომვადი ინდიკატორები, არ მზადდება სპეციალური ანგარიშები განხორციელებული ღონისძიებებისა და მათი ეფექტურობის შესახებ, არ არის შეფასებული საჭიროებები. მართალია, ინფორმაცია კატასტროფების რისკების შემცირებისათვის გატარებული ღონისძიებების თაობაზე ჩართულია გამგეობების წლიურ ანგარიშებში, მაგრამ საზოგადოებისათვის ძნელად ხელმისაწვდომია.

აღნიშნულის გამო, ცხადია, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ ვერ ხერხდება მოსახლეობის რეგულარული ინფორმირება კატასტროფების რისკების შემცირების მიზნით გატარებული ღონისძიებების, მიღწეული შედეგებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე. ასევე არ ხდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება.

ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები ყოველთვის აფრთხილებენ მოსახლეობას ამინდის მოსალოდნელი ექსტრემალური მოვლენების შესახებ, რის თაობაზეც ინფორმაციას იღებენ გარემოს ეროვნული სააგენტოდან და თავის მხრივ ინფორმაციას აწვდიან საფრთხის ზონაში მცხოვრებ მოსახლეობას პასუხისმგებელი პირის საშუალებით. თუმცა სვანეთსა და აჭარაში თემები აღნიშნავენ, რომ მოსალოდნელი საშიშროების შესახებ ინფორმაციას ძირითადად იღებენ ტელევიზიით და, რომ ადგილობრივი მთავრობების მხრიდან ინფორმაცია არ მიწოდდება.

population believes that real risk assessment is impossible without their participation and involvement.

However, they believe that this participation is pointless as local government bodies do not respond adequately to their information on potential disaster risks. For instance, the Mulakhi community (Mestia Municipality, Svaneti) annually informs the municipal authorities that the Mulkhula river poses a hazard to the village during the spring flood. The river has washed away several hectares of grassland and it gradually approaches the village putting its population at serious risk. The river carries away the local bridge almost every year, cutting the village off the region for a certain period of time. Yet, local authorities are reluctant to construct a permanent bridge.

People in Svaneti believe that they are not involved in disaster risk assessment at all. Local communities and government bodies have directly opposite opinions in this regard. Locals assess the risk much higher than the special services do. They believe that community involvement would allow more realistic assessment and more effective planning of preventive measures. People in Latali said the local government was not interested in their participation in risk assessment. They believe that the government tries to conceal the real degree of risk to avoid meeting the population's growing needs.

There is no systematic monitoring of progress towards DRR. Representatives of the local government occasionally examine the situation in affected communities on the ground and invite risk assessment specialists. Although they implement certain follow-up actions, they have not taken a number of important steps, including identification of DRR goals and indicators to measure progress towards their achievement, drafting of reports on implemented activities and their effectiveness, as well as needs assessment. Information on implemented DRR activities, included into annual reports of local administrations, remains inaccessible for broad public.

Based on the above, local government bodies fail to inform the population regularly on measures implemented for disaster risk reduction, their effectiveness and future plans. They do not implement awareness raising activities either.

In most cases representatives of local governments warn local communities on possible extreme weather conditions. Local authorities receive information on possible seasonal disaster risks from the National Environmental Agency and communicate it to the population of affected areas via responsible persons. However, in Svaneti and Adjara community representatives said that they receive information on potential risks from television programs and not from the local government.

3.5 ინფორმაციის გაანალიზება და გადაწყვეტილებების მიღება

3.5 KNOWLEDGE AND LEARNING

ინდიკატორთა ამ ჯგუფის მიხედვით თემებისა და მმართველობის ორგანოების შეფასებებში განსხვავება აღინიშნება გადაწყვეტილებების მიღებაზე ერთობლივი მუშაობის არსებულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. თემების აზრით, მათი მონაწილეობის შესაძლებლობა ძალიან მცირეა, მაშინ როცა ადგილობრივი მმართველობის ორგანოები მიიჩნევენ, რომ თემების ჩართვა გარკვეულწილად უზრუნველყოფილია.

According to these indicators, communities and local government bodies have different opinions regarding availability of opportunities for participatory decision making. The communities believe they have extremely limited opportunities for participation in decision making, while local government bodies believe that community participation is ensured to a certain degree.

ცხრილი 6. საშუალო ქულები ინფორმაციის გაანალიზებისა და გადაწყვეტილებების მიღების ინდიკატორების მიხედვით

Table 6. Averages for HFA knowledge and Learning Indicators

| ძირითადი ინდიკატორები Key Indicators | ადგილობრივი მმართველობის ორგანოები Local Government | თემების წარმომადგენლები Community Representatives | საშუალო ქულა Average Score |
|--|--|--|-------------------------------|
| ტრადიციული და სამეცნიერო ცოდნის ურთიერთდაკავშირება Traditional & Scientific Knowledge | 2,80 | 1,87 | 2,07 |
| ინფორმაციის ანალიზი Learning | 2,93 | 2,35 | 2,46 |
| ერთობლივი დაგეგმვა Negotiation | 3,24 | 2,56 | 2,69 |
| კონფლიქტების გადაწყვეტა Conflict Resolution | 2,95 | 2,58 | 2,65 |

ადგილობრივი თემები მიიჩნევენ, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არ ხდება ტრადიციული და სამეცნიერო ცოდნის ურთიერთდაკავშირება, თუმცა ფიქრობენ, რომ ხანგრძლივი გამოცდილებიდან გამომდინარე ფლობენ გარკვეულ ცოდნას, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა გახდება უფრო ეფექტური.

In opinion of local communities, decision making process lacks interaction of traditional and scientific knowledge in decision making. Community representatives believe that their knowledge based on long experience can contribute to effectiveness of disaster prevention measures.

კატასტროფების რისკების შესახებ ინფორმაცია იშვიათად განიხილება ერთობლივად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თემების მიერ. ასევე იშვიათია მოლაპარაკებები და შეთანხმება გასატარებელ ღონისძიებებზე. თვითმმართველობის ორგანოები ატარებენ კონსულტაციებს თემების წარმომადგენლებთან, მაგრამ მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ეს შეხვედრები და დისკუსიები არის უშედეგო. გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში მიიღება თემის მოსაზრებების გათვალისწინების გარეშე.

At risk communities and local government bodies seldom discuss information related to potential disaster risks, hold negotiations or agree measures to be taken. Local government officials hold consultations with community representatives and discuss DRR issues, but communities believe that the meetings and consultations yield no result and decisions are often made regardless of community's considerations.

ეროვნული რეაგირების გეგმის შესაბამისად 2009-2012 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის კოორდინაციით დამუშავდა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დამტკიცდა ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე მუნიციპალიტეტების რეაგირების გეგმები. დღეის მდგომარეობით ასეთი გეგმა დამტკიცებული აქვს ყველა მუნიციპალიტეტს⁶. მუნიციპალური რეაგირების გეგმების დანიშნულებაა ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი და კოორდინირებული ქმედებების განხორციელების უზრუნველყოფა. აღნიშნული დოკუმენტების საგანს არ წარმოადგენს პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა და განხორციელების დაგეგმვა.

According to the National Response Plan, Municipality Emergency Response Plans (MERP) were developed and approved by local government bodies in 2009-2012 under the guidance of the Emergency Management Department at the Ministry of Interior Affairs of Georgia. At present, the plans have been approved by all municipalities⁶. The MERPs are aimed at implementation of rapid and coordinated measures in response to natural and man-made disasters. These documents are not intended to identify preventive measures and plan for their implementation. The MERPs differ in different municipalities. Due to current personnel

⁶ 2011 წლის მდგომარეობით საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები დამტკიცებული ჰქონდა 14 მუნიციპალიტეტს, ხოლო შემუშავებული 22 მუნიციპალიტეტს.

⁶ As of 2011, Emergency Response Plans were approved in 14 municipalities, and 22 municipalities still had to elaborate these.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები ხარისხობრივად განსხვავებულია სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. ამასთან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში მიმდინარე საკადრო ცვლილებების გამო, ახლადდანიშნული პირები ზოგჯერ ინფორმირებულებიც კი არ არიან აღნიშნული დოკუმენტის, როგორც საგანგებო სიტუაციაში სახელმძღვანელოს არსებობის შესახებ. ევროპის სამეზობლო და თანამშრომლობის ინსტრუმენტის (ENPI 2010) Twinning-ის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტი (Support the Emergency Management Department in development of emergency services in Georgia) გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტების რეაგირების გეგმების გადახედვა და გაუმჯობესება.

პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი არეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელიც ცდილობს, გამოყოფილი რესურსები მეტ-ნაკლებად თანაბრად გაანაწილოს ქვეყნის მასშტაბით. შესაბამისად, არ ხდება რესურსების გადანაწილება საჭიროებების მიხედვით და მათი მიმართვა ყველაზე პრიორიტეტული და მწვავე პრობლემების გადაჭრამდე.

თავის მხრივ, მუნიციპალიტეტების დონეზე რისკების პრიორიტეტიზაცია ზოგჯერ არაობიექტურია. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ცდილობენ პირველ რიგში დააკმაყოფილონ მოსახლეობის იმ ნაწილის მოთხოვნები, რომლებიც აქტიურად მოითხოვენ დახმარებას, თუმცა შესაძლოა სხვა თემებში ამავე დროს ადგილი ჰქონდეს უფრო მწვავე სიტუაციას.

არ არის ჩამოყალიბებული თემების დონიდან რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის ინფორმაციის მიწოდების ერთიანი სქემა. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები კატასტროფების რისკების პრევენციის საჭიროებების შესახებ ინფორმაციას აწვდიან უშუალოდ სამინისტროს, სხვა შემთხვევებში კი სამხარეო ადმინისტრაციებს. ეს გარკვეულწილად ხელს უშლის ქვეყნის მასშტაბით რისკების პრიორიტეტიზაციისა და რესურსების შესაბამის განაწილებას.

კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტა გარკვეულწილად დამოკიდებულია თემის ქმედებებზე. ზოგიერთ შემთხვევაში თემის წევრები ერთდროულად თანასოფელის უკანონო ქმედებებზე საუბარს მმართველობით ორგანოებში. მაგრამ თუ გარკვეული საქმიანობა აშკარა საფრთხეს უქმნის თემის საცხოვრებელ გარემოს, მოსახლეობა გამოთქვამს პროტესტს, მიმართავს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს მუნიციპალიტეტისა და რეგიონის დონეზე, რთავს მედიის წარმომადგენლებს. კონფლიქტური საკითხები ასევე განიხილება სოფლის კრებებზე. აჭარაში, ასეთი შეხვედრის შედეგად თემმა დაჟინებული მოთხოვნით შეძლო აეკრძალა სოფლის მიმდებარე მაღალი დაქანების ფერდობზე ტყეში მერქნის ჭრა, რასაც შეეძლო გამოეწვია მძიმე ეკოლოგიური შედეგები. სოფელ ლატალში მენყერსაშიმ ზონაში თანასოფლელების მიერ ხე-ტყის ჭრის აკრძალვას ასევე მიაღწიეს სოფლის თავყრილობაზე საკითხის განხილვით და შეთანხმებით, თუმცა მანამდე თემი გარკვეული პერიოდის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა პრობლემა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ჩარევით მოეგვარებინა. სოფელ ლელიანში (კახეთი) მდებარე ტბიდან ხშირად იტბორება სოფლის მიმდებარე ტერიტორია და სასაფლაო. მოსახლეობამ რამდენჯერმე გამოხატა პროტესტი ტბის მეპატრონის მიმართ, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

changes in local municipalities newly appointed leaders are sometimes not even aware of the document as a guideline for emergency management. Revision and improvement of the MERPs is envisaged by *Support the Emergency Management Department in Development of Emergency Services in Georgia*, which is part of ENPI 2010 Twinning Program.

The Ministry of Regional Development and Infrastructure, responsible for disaster prevention planning and implementation, tries to ensure more or less equal distribution of available resources across the country instead of applying needs based distribution of resources to address the most important and sensitive problems.

Risk prioritization at the municipal level is sometimes biased. Local authorities first of all try to meet needs of the groups most actively demanding assistance, while more serious problems can be left without a response.

There is no unified communication channel to provide information about the situation in the regions to the Ministry of Regional Development and Infrastructure. Local government bodies sometimes provide information on disaster risk prevention needs directly to the Ministry and sometimes to regional administrations. This hinders risk prioritization and adequate distribution of resources at the national level.

Conflict resolution to a certain extent depends on community's actions. Sometimes community members abstain from discussing illegal actions of their neighbors with local government bodies. But if such actions pose a direct threat to the community's living environment, its members express protest, appeal local authorities at municipal and regional level and even to mass media. Conflicts are also discussed in community meetings. During one of such meetings in Adjara, felling was banned in a forest located above the village, which helped to prevent severe environmental consequences. A community meeting in the Latali village in mudflow-prone area in Mestia Municipality (Svaneti) also reached an agreement to ban felling in the local forest. Prior to this the community had been trying for a certain period of time to settle the problem with local government's assistance. The population of the Leliani village in Sagarejo Municipality, Kakheti has many times expressed its protest to the owner of the lake that often floods the village territory and the graveyard. Yet, the protest has been ignored.

3.6 ორგანიზება და ქმედება

3.6 ORGANISING AND ACTION

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების აზრით კატასტროფებისადმი მომზადებისა და რისკების შემცირებისათვის ადგილობრივ დონეზე არსებობს მეტი შესაძლებლობები, ვიდრე ეს მიაჩნიათ თემებს. ასეთივე აზრთა სხვადასხვაობაა კატასტროფების მოხდენის შემთხვევაში მთავრობის მიერ გამოყოფილ რესურსებთან დაკავშირებით. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები მიიჩნევენ, რომ კატასტროფების რისკების შესამცირებლად პარტნიორული ურთიერთობები გარკვეულწილად ჩამოყალიბებულია თემებთან და კერძო სექტორთან, თემების აზრით კი მათი მონაწილეობა კატასტროფების რისკების მართვაში უმნიშვნელოა.

Local government bodies believe there are more capacities for disaster preparedness and risk reduction at the local level than the communities think. This discrepancy in views is observed in evaluation of the government-allocated resources in case of a disaster. Local government believes that DRR partnerships are partially in place with the community and the private sector, whereas the community believes that the partnership relations are limited.

ცხრილი 7. საშუალო ქულები ორგანიზებისა და ქმედების ინდიკატორების მიხედვით

Table 7. Averages for HFA Organising and Action Indicators

| ძირითადი ინდიკატორები Key Indicators | ადგილობრივი მმართველობის ორგანოები Local Government | თემების წარმომადგენლები Community Representatives | საშუალო ქულა Average Score |
|--|--|--|-------------------------------|
| პარტნიორობის დამყარება Building Partnerships | 3.02 | 2.63 | 2.71 |
| რესურსები Resources | 2.39 | 2.12 | 2.19 |
| ადრეული შეტყობინება Early warning | 2.63 | 2.12 | 2.23 |
| ქმედებები ადგილობრივ დონეზე Local Actions | 2.59 | 2.06 | 2.18 |
| რესურსები ზიანის აღმოფხვრისათვის Everyday disasters | 2.70 | 2.21 | 2.32 |

კატასტროფების რისკების შემცირებისათვის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში მოსახლეობა მთავარ დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შრიდან შესაბამისი სურვილისა და მხარდაჭერის არ არსებობას, ასევე ცენტრალიზაციის პრობლემას. თემების წარმომადგენლები აზრით აქტიური თანამშრომლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის მეტი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში ბევრი პრობლემა უფრო სწრაფად და ადვილად მოგვარდებოდა. მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლები ხვდებიან მოსახლეობას, მაგრამ რეალურად გადანაცვებით მიღება ხდება რეგიონულ ცენტრებში, რომლებთანაც კავშირი გაძნელებულია სიშორის გამო. თემების აზრით კერძო სექტორი უფრო აქტიურია მოსახლეობასთან თანამშრომლობაში. აჭარაში იყო თემს, კერძო სექტორსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის პარტნიორული თანამშრომლობის რამდენიმე კარგი მაგალითი მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის პროექტების განხორციელებაში.

The communities consider lack of the will and support from the local government as the main obstacle in establishing DRR partnerships, combined with centralization. The community representatives believe that active cooperation and broader powers of the local government would help in addressing many problems faster and easier. Obviously, representatives of the municipality council and the local government meet the community, yet decisions are made in regional centers, located far away and therefore difficult to communicate with. The communities think the private sector is more active in cooperating with the community. The survey in Adjara revealed a number of good examples of partnership between the private sector and the local government for drinking water supply to local communities.

როგორც თემების, ისე ადგილობრივი მმართველობის ორგანოები მიიჩნევენ, რომ ხელმისაწვდომი რესურსები საკმარისია რისკების შემცირებისათვის საჭირო ქმედებების მხოლოდ მცირე ნაწილსათვის. განსაკუთრებით გაძნელებულია საჭირო თანხების გამოყოფა პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე. გამოყოფილი მწირი რესურსებიც, თემების აზრით იხარჯება არამომსწონილად. ამასთან, მოსახლეობის აზრით, ის მცირე თანხებიც კი, რომლებიც გაიცემა მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ, უმჯობესი იქნებოდა მოხმარებოდა გონივრულ პრევენციას, რაც ზიანს მნიშვნელოვნად შეამცირებდა.

Both the community and the local governments believe that making resources available is only a small portion of the necessary risk reduction actions. The most difficult is allocation of funds for prevention measures. According to the communities, even the scarce resources that are made available are misused. The communities believe the small money that is usually given as post-disaster damage compensation should be better spent for reasonable prevention, which would seriously minimize the damage.

ასევე მწვავე პრობლემაა საჭირო ტექნიკის საერთოდ არ არსებობა ან უკიდურესი სიმცირე თემებში. ზოგიერთ შემთხვევაში მეზობელი სოფლებიდან ქირაობენ ტექნიკას, თუმცა აქ კვლავ ფინანსური პრობლემები ჩნდება. ზოგჯერ სოფლებს დახმარებას უწევს მუნიციპალიტეტი მათ ბალანსზე არსებული ტექნიკით. სხვა შემთხვევაში, კი ტექნიკის გამოყოფაც გაძნელებულია. მაგალითად, სოფელ მულახში მოსახლეობა დაჟინებით ითხოვს ყოველწლიურად ტექნიკის გამოყოფას ღელეების გასაწმენდად, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა ღვარცოფების საფრთხეს, მაგრამ უშედეგოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თემები კრიტიკულად აფასებენ კატასტროფების რისკების ადრეული შეტყობინების სისტემის ეფექტურობას (2,12 ქულა - შემღუღული, მხოლოდ რამდენიმე სახის რისკისათვის), ისინი მიუთითებენ, რომ ინფორმაციას იღებენ, როგორც ტელევიზიით, ასევე სოფლის რწმუნებულის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისაგან. სტიქიური მოვლენის საშიშროების არსებობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტები ინფორმაციას იღებენ გარემოს ეროვნული სააგენტოდან, ასევე საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტიდან და დაუყოვნებლივ აფრთხილებენ მოსახლეობას. მხოლოდ სვანეთში აღნიშნეს, რომ ადგილობრივ მმართველობას არასდროს გაუფრთხილებია მოსახლეობა მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დღეისათვის სათანადო დონეზე არ ფუნქციონირებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ ადრეული შეტყობინების გამართული სისტემა. 2006 წლის შემდგომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაახლოებით 6-ჯერ შემცირდა მეტეოსადგურების რაოდენობა, სრულყოფილად არ არის დანერგილი ამინდის და ჰიდროლოგიური პროგნოზების თანამედროვე მოდელები, არასაკმარისად ხორციელდება გეოლოგიური მონიტორინგის სამუშაოები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადრეული შეტყობინების სისტემის სრულყოფა / მოდერნიზაცია არის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა გეგმით განსაზღვრული ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც უნდა გადაიჭრას 2016 წლამდე. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, გარკვეული შეუსაბამოები კატასტროფების რისკების შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში. კერძოდ, კატასტროფების რისკებს აფასებს და ინფორმაციას ამზადებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო⁷, ხოლო პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება არის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კომპეტენცია. თუმცა მათ მიერ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას ყოველთვის არ ხდება გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული პროგნოზის გათვალისწინება.

სიღარიბისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო თემების უმრავლესობას არ გააჩნია შესაბამისი შესაძლებლობები კატასტროფების მომზადებასა და რისკების შემცირებისათვის. მესტიის მოსახლეობა მიიჩნევს, რომ არსებული მწირი შესაძლებლობებიც არ გამოიყენება მიზანშეწონილად, ვინაიდან მცირეა ოპტიმალური პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის გამოცდილება და არ ხდება ადგილობრივი ცოდნის გათვალისწინება.

ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობების შექმნაში ძირითადი წვლილი შეაქვს დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილ პროექტებს.

პრევენციული ღონისძიებებისათვის საჭირო რესურსებიდან განსახვავებით სწრაფად ხდება თანხების გამოყოფა უკვე მომზადარი სტიქიური მოვლენის

⁷ გარემოს ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად გამოცემს საინფორმაციო ბიულეტენს, რომელიც მოიცავს წინა წლის სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებსა და მომდევნო წლის პროგნოზს.

Another challenge is limited availability or total lack of necessary equipment. In some cases they have to borrow the equipment from neighboring communities, again cross-cutting with the lack of financial resources. Sometimes the municipality provides their own equipment, though this is also difficult in some cases. For instance, the community of Mulakhi is annually and unsuccessfully asking for equipment for ditch/stream cleaning, which would seriously minimize the risk of mudflows.

Though the communities are rather critical about the efficiency of the DRR early warning system (scored 2,12 as *Limited, for some risk types only*), they receive information from television, also from the local government or the head of village administration. The municipalities receive information about potential disaster risks from the National Environmental Agency (NEA), also from the Department of Emergencies, and immediately inform the communities. Only in Svaneti the community representatives could not recall a case when the population was warned about an expected hazard.

Generally, there are no adequate and effective early disaster warning systems in Georgia today. Since 2006, the number of meteorological stations in Georgia was reduced 6 times, there are no modern models for weather forecasting and hydrological predictions; geological monitoring is not sufficient. Hence, the updating/upgrading of the early warning system is one of the objectives of the Georgian Environmental Action Plan up to 2016.

Also, there are some discrepancies in disaster risk assessment and preventive action planning. Namely, the National Environmental Agency of the Ministry of Environment and Natural Resources Protection⁷ is responsible for disaster risk assessment and preparation of information, whereas the planning and implementation of preventive measures is the responsibility of the Ministry of Regional Development and Infrastructure as well as local governments that sometimes fail to consider NEA's forecasts in their preventive planning.

Due to poverty and poor socio-economic situation, most communities have no adequate capacity (resource) for disaster preparedness and risk reduction. The communities in Mestia believe that even the scarce resources available are not used for the purpose, as the preventive action planning experience is poor and indigenous knowledge is not taken into consideration.

Donor-funded projects make the major contribution to creating opportunities at the local level.

Unlike the situation with resources necessary for preventive planning, funds are promptly allocated for

⁷ The National Environmental Agency publishes an annual newsletter reflecting outcomes of geological hazards and disasters for the previous year and a forecast for the current year.

შედეგების აღმოსაფხვრელად. ადგილობრივ ბიუჯეტებში გამოყოფილია მუხლი გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის, რაც სწორედ ამგვარ შემთხვევებში უნდა იხარჯებოდეს. მიუხედავად ამისა ზიანი, რომელიც ადგება მოსახლეობას სხვადასხვა კატასტროფების შედეგად, არის გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ცენტრალური მთავრობის მიერ გამოყოფილი კომპენსაცია. სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებას შეეძლო გარკვეული წვლილის შეტანა ამ პრობლემის გადაჭრაში, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის სიღარიბე არის ერთ-ერთი ხელისშემშლელი მიზეზი.

სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას სახელმწიფო უწევს ფულად დახმარებას, ასევე ხდება დახმარება სამშენებლო მასალებით, ახალი საცხოვრებელი სახლების შექმნა. მაგრამ ადგილობრივი თემები ხშირად აღნიშნავენ კომპენსაციისათვის გამოყოფილი თანხების არამიზნობრივი ხარჯვის შემთხვევების შესახებ. მესტიის უბან ლალაიდში მენყერის გამო დანგრეული და დაზიანებული სახლების მფლობელებს კომპენსაციის სახით გადაუხადეს 5-5 ათასი ლარი, რაც არ იყო საკმარისი ახალი საცხოვრებელი სახლების შესაძენად. დაზარალებული მოსახლეობა დღემდე შეხიზნულია ახლობლებთან. ლალაიდას უბანი კვლავ რჩება დიდი საფრთხის წინაშე. მოსახლეობის აზრით ის მიზეზური თანხები, რაც მათ კომპენსაციის სახით გადაუხადეს, რომ მოხმარებოდა წინასწარ სამუშაოებს - დეღების განტვირთვას და ჯებირების მშენებლობას, მენყერის საფრთხე მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი.

disaster response/recovery from the contingency line in the local budgets. Yet the damage experienced by the communities resulting from disasters is much higher than the compensations provided by the national government. An insurance system could help solving this problem, yet poverty of the local population is a constraint.

The government pays monetary compensation to disaster-stricken households, also provides building materials, and new houses. Yet local communities frequently mention cases of misusing the compensation money. Owners of households damaged and ruined by a landslide in Lalaida community, Mestia, received five thousand Georgian Lari each, which was not enough to buy a new house. The affected families are still living at their relatives' and friends'. The Lalaida area is still endangered. The community believes the small amounts paid as compensation should have been better used for preventive measures: cleaning of ditches and streams and construction of fences, which would have minimized the landslide hazard.

IV. კონკრეტული მაგალითები

კატასტროფების რისკების მიმართ თემის გამძლეობის გაძლიერება – ჰერეთისკარის გამოცდილება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელი ჰერეთისკარი ერთ-ერთი განსაკუთრებულია კახეთის რეგიონში. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა (90%) არის ეკომიგრანტი აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან, რომლებიც კახეთში გადმოასახლეს რამდენიმე ათეული წლის წინ, აჭარაში კატასტროფული მწყურული პროცესების განვითარების გამო. დღეისათვის მათ საცხოვრებელი გარემო კვლავ საფრთხის წინაშეა. დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები და თემი) თანამშრომლობის შედეგად მოხერხდა სოფლის ტერიტორიის დატბორვებისა და დაჭაობების რისკის შემცირება, მაგრამ მხოლოდ დროებით.



IV. CASE STUDIES

ENHANCING COMMUNITY'S DISASTER RISK RESILIENCE – HERETISKARI CASE

The Heretiskari Village in Lagodekhi Municipality is one of the most special villages in the Kakheti region, 90% of its population being ecomigrants from Adjara's mountain regions, who were resettled to Kakheti several decades ago due to the development of disastrous landslides. At present their environment is at risk again. The risk of waterlogging of the village territory has been reduced through joint efforts of different stakeholders (local government, local and national NGOs and community), but the achieved result is temporary.



სოფელი ჰერეთისკარი ლაგოდეხიდან 35 კმ-ით არის დაშორებული. სოფლის ტერიტორია სისტემატურად იტბორება მდ. ალაზანი, რომელიც სამხრეთით ესაზღვრება ჰერეთისკარს. მოვარდნილი წყალი სისტემატურად ანადგურებს ნათეს ფართობებს. დატბორვების ერთ-ერთი მიზეზია გაუნმენდავი სამელიორაციო და სანრეტი არხები, რის გამოც ვეღარ ხდება მოვარდნილი წყლის ნაკადის გატარება.

Heretiskari is located 35 km from the capital of the region. The area is systematically flooded by the Alazani River running along the southern border of the village. This leads to bogging of agricultural and grazing lands, causes harm to local population's economic status and health, since bogged areas have turned into malaria sources.

ხშირი დატბორვების გამო ჭაობდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საძოვრები, მოსახლეობა ზარალდება ეკონომიკურად, საფრთხე ექმნება მათ ჯანმრთელობას. დაჭაობებული ადგილები იქცა მალარიის კერებად.

Forty four malaria cases were recorded in Heretiskari in 2000-2005. Five members of one family developed the disease and had to leave the village. In 2000-2012, 15 families left the village due to malaria hazard. About 300 ha of endangered floodplain oak forest have been destroyed

ჰერეთისკარში 2000-2005 წლებში დაფიქსირდა მალარიის 44 შემთხვევა. ერთ-ერთ ოჯახში დაავადდა ხუთივე წევრი,



რის გამოც იძულებული გახდნენ წასულიყვნენ სოფლიდან. 2000-2012 წლებში მალარიის საფრთხის გამო სოფელი 15-მა ოჯახმა დატოვა. სისტემატურად იტბორება ასევე საცხოვრებელი სახლები და ადმინისტრაციული შენობები.



by floods. Flash floods contaminate the village territory by sediments, creating hazard of epidemics. Local population faces drinking water deficit since water pipelines run along drainage channels and are badly



დატბორების გამო განადგურდა გადაშენების პირას მყოფი ჭალის მუხის ტყე 300 ჰა-ზე. ასევე სოფლის შესასვლელში არსებული ულამაზესი მუხის კორომი, სადაც ასწლოვანი ხეებიდან მხოლოდ რამდენიმეა შემორჩენილი. ადიდებული მდინარით ჩამოტანილი ნარჩენებით ბინძურდება სოფლის ტერიტორია და იქმნება დაავადებების გავრცელების საფრთხე. შექმნილია სუფთა სასმელი წყლის პრობლემა, ვინაიდან მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიმწოდებელი მიწები განლაგებულია საწრები არხების მიმდებარედ და არის ძლიერ დაზიანებული. წყალდიდობების დროს ხშირია სასმელ წყალში დაბინძურებული წყლის შერევის შემთხვევები. სათემო კავშირი „ჰერეთის“ წარმომადგენლებმა არაერთხელ მიმართეს გაერთიანებული წყალმომარაგების ადგილობრივ სამსახურს სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის მოთხოვნით, მაგრამ სამუხაროდ ეს საკითხი დღემდე გადაწყვეტილია.

damaged, so contaminated water often mixes with potable. Flash floods systematically destroy crops. Clogged irrigation and drainage channels are one of the reasons of flooding.

In 2008 -2011 Community Association Hereti in close cooperation with national NGOs Center for Strategic Research and Development of Georgia (CSRDG), Georgian Civil Development Association (GCDA) and Greens Movement of Georgia (GMG) implemented activities to reduce risks facing Heretiskari. In particular:

2010 წელს სათემო კავშირმა „ჰერეთმა“ ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან („საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“, „საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია“ და „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“) მჭიდრო თანამშრომლობით დაიწყო აქტიური ქმედებები არსებული პრობლემების გადასაჭრელად. კერძოდ:

- GSDA and Community Association Hereti organized meetings with communities during which in-depth study of local population's needs was conducted and concrete cases were analyzed.

- A working plan was developed to accumulate small financial resources for addressing concrete problems.

- GSDA and Community Association Hereti arranged systematic coverage of problems existing in Heretiskari by local radio and television. They

also provided information to national television channels (Imedi TV and Rustavi 2) that made detailed coverage of the situation in Heretiskari.

- Meetings with local authorities and public discussion of problems facing Heretiskari were organized. After attracting mass media's attention to the village problems, local authorities embarked on more intensive activities.

- Funds, allocated by the local government, were used for cleaning the Kabali riverbed and partially cleaning the Shavtskala riverbed. The dry floodplain forest was cut. The area was privatized and its

- საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციის და სათემო კავშირი „ჰერეთის“ ორგანიზებით დაიგეგმა მოსახლეობასთან შეხვედრები, სადაც ძირულად გამოკვლეული იქნა ამ კუთხით მოსახლეობის პრობლემები და კონკრეტული მაგალითები.
- მომზადდა სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მცირე ფინანსური რესურსების მოპოვებას კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად.
- საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციისა და სათემო კავშირი ჰერეთის თანამშრომლობით დაიწყო ჰერეთისკარში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის სისტემატურად მიწოდება და გაშუქება ადგილობრივი რადიოთი და ტელევიზიით. ინფორმაცია ასევე მიეწოდა ეროვნულ სატელევიზიო არხებს (ტელე იმედსა და სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ს), რომლებმაც საკმაოდ მწვავედ გააშუქეს ჰერეთისკარის საკითხი.
- ჩატარდა შეხვედრები ადგილობრივ თვითმმართველობასთან და ორგანიზებული იქნა ჰერეთისკარის წინაშე არსებული პრობლემების საჯარო განხილვები. ჰერეთისკარის პრობლემებით მას-მედიის დაინტერესების შემდეგ ადგილობრივმა თვითმმართველობამ დაიწყო უფრო აქტიური ქმედებები.

- ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოყოფილი რესურსებით გაიწმინდა მდინარე კაბალის კალაპოტი, ხოლო მდინარე შავწყალას კალაპოტი მხოლოდ ნაწილობრივ. ჭალის გამხმარი ტყე მოიჭრა, ტერიტორია გადაეცა კერძო სექტორს და დაიწყო მისი აღდგენა.
- ადგილობრივმა თვითმმართველობამ გაჭრა 1.5კმ სიგრძის შემკრები არხი და გაუქმდა სამი ხელოვნური ტბა, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 18 ჰა-ს. არხის გაჭრის შედეგად დაშრა 12 ჰა ჭაობი.
- საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის დაფინანსებით გაიწმინდა 350 მ სიგრძის სანრეტი შემკრები არხი სანაპირო უბანზე.
- საქართველოს მწვანეთა მოძრაობის (დედამიწის მეგობრების) დაფინანსებით გაიწმინდა 600 მ სიგრძის სანრეტი შემკრები არხი გმატკეცილის უბანზე.

პროექტის ქმედებების შედეგად ამოშრობილ სავარგულებს (სულ 30 ჰა-ს) მოსახლეობა დღეისათვის იყენებს საძოვრად. მოსახლეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მოთხოვნის შედეგად რამდენიმე წლის მანძილზე ხდებოდა კოლოს გავრცელების კერების (სანრეტი არხები, ბოსლები) შეწამვლა, ასევე ინსექტიციდების დარიგება. არასაკმარისი დაფინანსების გამო საჭირო ღონისძიებები განხორციელდა მხოლოდ ნაწილობრივ. მაგალითად, სანრეტი არხი არ იქნა მიყვანილი მდ. ალაზანამდე (გაიჭრა



მხოლოდ 1,5კმ, ნაცვლად 3კმ-ისა), გაიწმინდა მდ. შავწყალას კალაპოტის მხოლოდ ნაწილი, კვლავ გაუწმენდავია არსებული შემკრები არხები. არ ხორციელდება ტყის აღდგენის ღონისძიებები კერძო სექტორისათვის გადაცემულ ტერიტორიაზე. შეჩერდა ტერიტორიის შეწამვლა მალარიის გადამტანი კოლოს საწინააღმდეგო ინსექტიციდებით. აღარ მიმდინარეობს მალარიით დაავადებულთა მონიტორინგი. სათემო კავშირი „ჰერეთი“ ყოველწლიურად ორგანიზებას უწევს მოსახლეობის მიერ სოფლის შიდა სანრეტი არხების გაწმენდას. მაგრამ, ამით ვერ ხერხდება პრობლემის გადაწყვეტა, რადგან შემკრები არხები ამოვსებულია და წყალს არ ატარებს. შემკრები არხების გაწმენდისათვის საჭირო რესურსები და შესაძლებლობა კი მოსახლეობას არ აქვს. 2011 წელს გაზაფხულისა და შემოდგომის წვიმების შედეგად კვლავ დაიტბორა სოფლის ტერიტორია. სათემო კავშირ „ჰერეთს“ დაგეგმილი აქვს კვლავ გააგრძელოს საკითხის აქტიური ლობირება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში, მიაღწიოს საჭირო რესურსების გამოყოფას ძირითადი სანრეტი არხებისა და მდ. შავწყალას კალაპოტის გაწმენდისათვის, მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურება და ჩართვა რისკის შემცირების ღონისძიებებში.

development was launched.

- The local authorities laid a 1.5-km-long collecting channel and removed three artificial lakes with the total area of 18 ha. The channel helped to dry 12 ha of bogs.
- A 350-meter-long drainage channel along the river bank was cleaned through CSRDG's funding.
- Green Movement of Georgia (Friends of the Earth) financed cleaning of a 600-meter-long drainage channel along the highway.

The lands reclaimed as a result of project activities (30 ha) are currently used by local population for grazing purposes. As a result of urgent requests of local communities and NGOs, breeding grounds of mosquitoes (drainage channels, barns) were treated with insecticides for several successive years. Insecticides were also distributed among the population.



The problem was resolved only partially since not all planned activities were carried through due to insufficient financial resources. Thus, the drainage channel was not dug to the Alazani River (only 1.5 km were dug out instead of planned 3 km). The Shavtskala riverbed and the collecting channels were cleaned only partially. No reforestation measures are being implemented in privatized areas. Malaria mosquito control measures and monitoring of malaria cases have been suspended. Community Association Hereti annually mobilizes local population for cleaning drainage channels in the village. Yet, this is insufficient to resolve the problem, since collecting channels are overfilled and don't let the water pass, while local community lacks resources for its cleaning. In 2011 the village was flooded again as a result of spring and autumn rains.

Community Association Hereti will continue to actively lobby for the issue in local government bodies in order to attain funds for cleaning the main drainage channels and the Shavtskala riverbed. The NGO attaches importance to local community's active participation in DRR activities.

სტიქიური მოვლენების რისკების შემცირება მაღალმთიან რაჭაში

DISASTER RISK REDUCTION IN THE MOUNTAIN DISTRICTS OF RACHA

მაღალმთიანი რაჭა მუდმივად განიცდის ბუნებრივი კატასტროფების ზემოქმედებას მინისძვრების, წყალდიდობების, ღვარცოფების, მენყვრებისა და ზვავების სახით, რაც იწვევს შენობების დაზიანებასა და სახნავ-სათესი სავარგულების წაღვევას.

Mountainous regions of Racha are constantly exposed to the impact of disasters, including earthquakes, floods, mudflows, landslides and avalanches, damaging buildings and croplands.



გლოლას, რაჭის რეგიონის ერთ-ერთი მაღალმთიან სოფელს, 2010 წლის ზაფხულში დიდი ეკონომიკური ზარალი მიაღდა მდ. ბდღვიორას ხეობაში ტრანსფორმირებული ღვარცოფების გამო. ერთ მილიონამდე მ³ მოცულობის ქვატალახოვანმა ნაკადმა დააზიანა და საცხოვრებლად უვარგისი გახადა სახლები, წაღვეა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები, დაანგრია კურორტ შოვთან დამაკავშირებელი ხიდი. თემის მიმდებარედ, ტურისტული ბაზის „შოვის“ ტერიტორიაზე ღვარცოფული ნატანებით დაიფარა 120 ათასი მ² ტერიტორია, დაზიანდა 17 საცხოვრებელი კოტეჯი. ფაქტიურად გლოლის თემის დიდი ნაწილი ღვარცოფით წაღვევის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. სტიქიურმა მოვლენამ კიდევ უფრო გაამწვავა სოფელ გლოლაში არსებული სოციალური პრობლემები. თემის მოსახლეობის შემოსავლები ძალიან მცირეა, რის გამოც იზრდება მიგრაცია. ამჟამად თემში მხოლოდ 250 მოსახლე და 25 მოსწავლეა. ტურისტული ბაზისა და გზების დაზიანების გამო მოსახლეობამ დაკარგა ის მცირე შემოსავალიც, რომელსაც სეზონურად იღებდა დამსვენებლებისაგან. ასევე დაზიანდა სოფლიდან საკმაოდ მოშორებით მდებარე სათიბ-სადოვრებთან მისასვლელი გზები.

